ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3253314

ნომერი: AR1498381

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 18.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა კუმელაშვილი პ/ნ 36001006147
- ქ.თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 25 აპრილის №AR1498381 განცხადებით მომართა კახა კუმელაშვილმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2016 წლის 30

დეკემბრის №3025022 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.11.17.006.917, მრავალფუნქციური შენობის ( საყოფაცხოვრებო, საწარმო, დამხმარე, ავტო-ტექმომსახურების ობიექტი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 30 დეკემბრიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაცაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს ,,კ-მოტორსის,, (ს/კ:406058126) დაფიქსირებას.
მიწის ნაკვეთის ს/კ: N 01.11.17.006.917 მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882017139255, მომზადების თარიღი: 2017 წლის 24 თებერვალი, 13:47:28) თანახმად, წარმოადგენს შპს ,,კ-მოტორსი,, (ს/კ:406058126).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის ს/კ: N N 01.11.17.006.917, მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,კ-მოტორსი,, (ს/კ:406058126) და მის მიერ უფლებამოსილი პირი კახა კუმელაშვილი სამსახურს მომართავს ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირების მოთხოვნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,კ-მოტორსი,, (ს/კ:406058126).

2. სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.